საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/65 „ 15 „ იანვარი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის დანამატის დაწესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 26 თებერვლის №1/20 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის დანამატის დაწესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 26 თებერვლის №1/20 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 69-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიური დანამატი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე - 1950 ლარი;

ბ) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე - 1900 ლარი;

გ) სააპელაციო სასამართლოს პალატის (კოლეგიის) თავმჯდომარე - 1800 ლარი;

დ) სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე - 1700 ლარი;

ე) თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე - 2250 ლარი;

ვ) თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე - 2150 ლარი;

ზ) თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე - 2050 ლარი;

თ) ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე - 2250 ლარი;

ი) ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, მაგისტრატი მოსამართლე - 2050 ლარი;

კ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე - 2250 ლარი;

ლ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, მაგისტრატი მოსამართლე - 2050 ლარი;

მ) სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე - 1550 ლარი;

ნ) სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, მაგისტრატი მოსამართლე - 1350 ლარი.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი